

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
სხდომა**

6 აგვისტო 2008 წელი

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:

ქ. თბილისი, არაყიშვილის I ჩიხი №9

სხდომის დაწყების დრო: 15:26სთ.

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:

ზვიად კორძაძე (სხდომის თავმჯდომარე), როინ მიგრიაული, დავით ლანჩავა, დავით ასათიანი, გოჩა სვანიძე, ზაზა ხატიაშვილი.

სხდომის თავმჯდომარე: ზვიად კორძაძე

დღის წესრიგი:

1. ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარის მომართვასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ;
2. აუდიტის შესახებ;
3. სხვა მიმდინარე საკითხები.

აღმასრულებელი საბჭოს 2008 წლის 6 აგვისტოს სხდომის თავმჯდომარედ ზვიად კორძაძის არჩევის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა იმსჯელეს ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარის კახაბერ ასლანიშვილის საბჭოს წევრების მიმართ გაკეთებული მიმართვის შესახებ და დაადგინეს:

1. ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარის კახაბერ ასლანიშვილის 2008-2009 წლებში სასწავლებლად წასვლის გამო (რაც დასტურდება მისივე მიმართვით აღმასრულებელი საბჭოს წევრების

მიმართ) ცნობად იქნას მიღებული, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების 19.8 მუხლის თანახმად, 2008 წლის 15 აგვისტოდან ასოციაციის თავმჯდომარის კახაბერ ასლანიშვილის მიერ თავისი უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის გამო თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახორციელებს აღმასრულებელი საბჭოს უხუცესი წევრი გოჩა სვანიძე.

2. საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-17 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 27-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ნორმები საადვოკატო საქმიანობის შეზღუდვის შესახებ ეხება ასოციაციის არჩეულ თავმჯდომარეს და შესაბამისად, რადგან ეს ნორმა არ ვრცელდება მოვალეობის შემსრულებელზე, გოჩა სვანიძე აღნიშნული უფლებამოსილების შესრულების პერიოდში არ იღებს ანაზღაურებას.
3. თავმჯდომარის უფლებამოსილების შემსრულებელმა გოჩა სვანიძემ უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების, [პროცედურების წარმართვა შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებში (საგადასახადო ინსპექციაში, ბანკში, ნოტარიუსთან და ა.შ), რათა არ შეფერხდეს ასოციაციის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი ფუნქციების, უფლებამოსილებების განხორციელება
4. დაევალოს ასოციაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს გოჩა სვანიძეს აღმასრულებელი საბჭოს 2008 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილების შესაბამისად, უმოკლეს ვადაში აუდიტორული ფირმის შერჩევა და აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით ასოციაციის საფინანსო და ბუღალტრული საქმიანობის შემოწმების მიზნით ასოციაციის დაფუძნებიდან დღემდე.
5. დაევალოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შემსრულებელს გოჩა სვანიძეს აღმასრულებელი საბჭოს წარმოუდგინოს არაუგვიანეს 2008 წლის 15 სექტემბრისა წინადადებები იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც აუცილებელია ასოციაციის ნორმალური ფუნქციონირების, რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის და ჩატარებისათვის და დაგროვილი პრობლემების მოგვარებისათვის.

ზვიად კორძაძე
სხდომის თავმჯდომარე

დავით ლანჩავა

გოჩა სვანიძე

დავით ასათიანი

როინ მიგრიაული

ზაზა ხატიაშვილი